მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი 23 ოქტომბერი, 2015 წ.

ერთის მხრივ შპს „მარცვლეულის ლოგისტიკის კომპანია“ (ს/კ 404904458), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ღუღუნიშვილის სახით, შემდგომში (შემდგომში: „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, ნოდარ ყოჩიაშვილი პ/ნ 14001003799; (შემდგომში: ,,მიმწოდებელი”) და შემდგომში ორივე მხარე ერთად წოდებული: მხარეებად.

წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერით მხარეები ვადასტურებთ რომ 2015 წლის 23 ოქტომბრის №15-2310/01 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (შემდგოში „ხელშეკრულება“) საფუძველზე მიმწოდებელმა გასწია ხოლო შემსყიდველმა მიიღო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, კერძოდ, მიმწოდებელმა უზრუნველყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტვირთის გადაზიდვა შემდეგი მარშრუტით:

1. ქ. დედოფლისწყარო, სოფ. ,,შირაქი“ - თბილისი, ენუქიძის ქუჩა N11; (გადასაზიდი ტვირთის წონა: 2436 კგ);
2. თბილისი, ენუქიძის ქუჩა N11- ქ. დედოფლისწყარო, სოფ. ,,შირაქი“. (გადასაზიდი ტვირთის წონა: 1000 კგ).

გადამზიდველი ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი - NTR111;

გაწეული მომსახურების ღირებულება შეადგენს 125 (ასოცდახუთი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

საშემოსავლო გადასახადი შეადგენს 25 (ოცდახუთი) ლარს.

მომსახურების მიღება-ჩაბარების პროცესში მხარეებს ერთმანეთის მიმართ, რაიმე სახის პრეტენზია არ წარმოშობიათ.

წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი
შპს „მარცვლეულის ლოგისტიკის კომპანია“
ს/კ 404904458
მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის ქ. #6
საბანკო რეკვიზიტები:
სს ,,საქართველოს ბანკი"
ბ/კ BAGAGE22
ა/ა 53BG0000000343608000GEL

გიორგი ღუღუნიშვილი
დირექტორი

მიმწოდებელი
ნოდარ ყოჩიაშვილი
პ/ნ 14001003799

საბანკო რეკვიზიტები:
სს „საქართველოს ბანკი“
ბ/კ BAGAGE22
ა/ა GE87BG0000000699218700

ნოდარ ყოჩიაშვილი
დირექტორი

სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება №15-2310/01

(CPV 63110000)

23 ოქტომბერი, 2015 წ.

ქ. თბილისი

ერთის მხრივ შპს „მარცვლეულის ლოგისტიკის კომპანია“ (ს/კ 404904458), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ღუღუნიშვილის სახით, შემდგომში (შემდგომში: „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, ნოდარ ყოჩიაშვილი (პ/ნ 14001003799; (შემდგომში: ,,მიმწოდებელი”) და შემდგომში ორივე მხარე ერთად წოდებული: მხარეებად.

ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტება

1.1 ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა: ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ ,,ხელშეკრულება”) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით.

1.2 დღე”, ,,კვირა”, ,,თვე”, ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს

1.3 ,,ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.4 ,,შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5 ,,მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში;

1.6 ,,ხელშეკრულების ობიექტი“ - ხელშეკრულების მე-2 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 სამუშაო დღე ნიშნავს კალენდარულ დღეს შაბათის, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდველის საკუთრებაში არსებული ტვირთის გადაზიდვას (შემდგომში „მომსახურება“).

2.2 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე შემსყიდველი ავალებს, ხოლო მიმწოდებელი შეთანხმებული ანაზღაურებით კისრულობს მხარეთა შორის შეთანხმებული ავტოსატრანსპორტო საშუალებით შემსყიდველის ტვირთის გადაზიდვას, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტვირთის გადაზიდვას მიმწოდებელი უზრუნველყოფს პირადად.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული ტვირთის გადაზიდვისათვის შემსყიდველი იხდის 125 (ასოცდახუთი) ლარს, კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით, საიდანაც საშემოსავლო გადასახადი შეადგენს 25 ლარს.

3.2 საშემოსავლო გადასახადის გადახდას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

4. ტვირთის გადაზიდვის პირობები, ვადები და ადგილი

4.1 წინამდებარე ხელშეკრულების 1 პუნქტით გათვალისწინებული გადასაზიდი ტვირთი წარმოადგენს ხორბალს.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნისამებრ უზრუნველყოს ტვირთის გადაზიდვა, არაუგვიანეს 2015 წლის 24 ოქტომბრისა, შემდეგი მარშრუტის შესაბამისად:
ა) ქ. დედოფლისწყარო, სოფ. ,,შირაქი" - თბილისი, ენუქიძის ქუჩა N11; (გადასაზიდი ტვირთის წონა: 2436 კგ);
ბ) თბილისი, ენუქიძის ქუჩა N11- ქ. დედოფლისწყარო, სოფ. ,,შირაქი". (გადასაზიდი ტვირთის წონა: 1000 კგ).

4.3 ტვირთის გადაზიდვას მიმწოდებელი უზრუნველყოფს სატვირთო ავტომობილით (სახ. ნომერი - NTR111) რომელიც უნდა იყოს წინამდებარე ხელშეკრულების 8.1.1. პუნქტით გათვალისწინებულ მდგომარეობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურების მიწოდება დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები.

6. ანგარიშსწორების წესი და ვადა

6.1 მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6.2 ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი.

6.3 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.

6.4 ანგარიშსწორება განხორციელდება: ფ.პ. - ჯონი მაისურაძის (პ/ნ 13001060272) კუთვნილ შემდეგ საბანკო ანგარიშზე: სს „საქართველოს ბანკი", ბ/კBAGAGE22, ა/ა GE87BG0000000699218700.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 შემსყიდველი ვალდებულია:

7.1.1 გაუფორმოს გადამზიდველს ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;

7.1.2 დადგენილი წესით, დროულად და შეთანხმებული ოდენობით უზრუნველყოს მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების საერთო ღირებულების გადახდა, მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში;

7.1.3 შეუქმნას ყველა პირობა მიმწოდებელს რათა მან შეძლოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება

7.2 შემსყიდველს უფლება აქვს:

7.3 მოსთხოვოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება

8. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.1.1 უზრუნველყოს შეთანხმებული სატრანსპორტო საშუალებების ქონა ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში;

8.1.2 უზრუნველყოს გადასაზიდი ტვირთის დაცვა;

8.1.3 უზრუნველყოს გადაზიდვის განხორციელებისას და შესაბამისი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მისთვის ცნობილი კომერციული საიდუმლოების დაცვა;

8.1.4 გაუფრთხილდეს შემსყიდველისგან გადასაზიდად გადაცემულ ტვირთს.

8.1.5 გადაზიდვის დაწყების, ტვირთის შეთანხმებულ ვადაში გადატანის, აგრეთვე გადაზიდვა გადატანის პროცესში ტვირთთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ტვირთის მდგომარეობაზე, გადაზიდვის პირობებზე, დაუყოვნებლივ მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია შემსყიდველს;

8.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

8.3 მოსთხოვოს შემსყიდველს გადაზიდვასთან დაკავშირებით აუცილებელი ინფორმაციის დროულად მიწოდება.

8.4 მოსთხოვოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1 მიმწოდებელს ეკისრება პასუხისმგებლობა ტვირთის გადაზიდვის მთელი პერიოდის განმავლობაში მისი დაცვისა და შენახვისათვის;

9.2 მიმწოდებლის მიყენებული ზარალის ფარგლებში ეკისრება პასუხისმგებლობა ტვირთის დაზიანებისა და განადგურებისათვის;

9.3 ტვირთის დაზიანების ან განადგურებისას, აგრეთვე აღნიშნული საფრთხის წარმოშობისთანავე მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნულის შესახებ შემსყიდველს;

9.4 მხარეები ვალდებულებას კისრულობენ, აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი;

9.5 თითეული მხარე ვალდებულია დაკისრებული ვალდებულება შეასრულოს დადგენილი წესით, შეთანხმების ფარგლებში ამასთან, თითეულმა მათგანმა ხელი უნდა შეუწყოს მხარეებს ვალდებულების შესრულებაში. მხარე, რომელიც არღვევს ნაკისრ ვალდებულებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა;

9.6 შემსყიდველს პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებლისათვის მიწოდებული ინფორმაციის სისწორეზე, გადაცემული დოკუმენტების ნამდვილობაზე, სისწორესა და სისრულეზე;

10. ხელშეკრულების მოქმედები ვადა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2015 წლის 23 ნოემბრის ჩათვლით.

10.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით;

10.2.1 რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დარღვევისას;

10.2.2 კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11. ფორს-მაჟორი

11.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისაგან თუ ისინი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის შედეგად (წყალდიდობით, მიწისძვრით, გაფიცვით, სამხედრო მოქმედებით, ბლოკადით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და ა.შ. და თუ ეს მოვლენა დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ.

11.2მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოების ლიკვიდაციამდე.

11.3მხარეები ვალდებულნი არიან ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას დაუყოვნებლივ შეატყობინონ მეორე მხარეს ამის შესახებ.

12. დავების გადაწყვეტა

12.1მხარეები მიიღებენ ყველა ზომას, რათა ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა ან წინააღმდეგობა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით.

12.2საკითხის მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნებისმიერი დავა, მათ შორის თვით ამ ხელშეკრულების არსებობის, ნამდვილობის, შეწყვეტის ან გათილობის საკითხი განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა სასამართლოს.

13. დამატებითი პირობები

13.1წინამდებარე ხელშეკრულებაში დამატებების და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. ამასთან, ცვლილება ან დამატება შესრულებული უნდა იყოს წერილობით და სათანადოდ ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

13.2ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლიარად ქართულ ენაზე და მხარეებს შესანახად გადაეცემა თითო ეგზემპლიარი.

14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი
შპს „მარცვლეულის ლოგისტიკის კომპანია“
ს/კ 404904458
მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის ქ. #6
საბანკო რეკვიზიტები:
სს ,,საქართველოს ბანკი"
ბ/კ BAGAGE22
ა/ა 53BG0000000343608000GEL

გიორგი ღუღუნიშვილი
დირექტორი

მიმწოდებელი
ნოდარ ყოჩიაშვილი
პ/ნ 14001003799
მის: დედოფლისწყარო ი.ჭავჭავაძის ქ. N32
საბანკო რეკვიზიტები:
სს „საქართველოს ბანკი“
ბ/კ BAGAGE22
ა/ა GE87BG0000000699218700

ნოდარ ყოჩიაშვილი
დირექტორი